



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„ 17 „ 10 2018 წ.

დადგენილება № 29

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების (ქ.ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. N119-ში მდებარე კორპუსთან მისასვლელი გზის), გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული, ქ.ახალქალაქში აღმაშენებლის ქ. N119-ში მდებარე კორპუსთან მისასვლელი გზა, დადასტურებული ფართობით 4374,00 კვ.მ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქარველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში გადაეცეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს საქართველოს მოქმედი კონომდებლობის შესაბამისად.
2. დადგენილების პიველი პუნქტით განსაზღვრული საკითხი შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქარველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.
6. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამინისტრაციის ხელმძღვანელის რ.თათეშვილის მიმართვა N1327399, 15.10.2018 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე